დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 213 შაბათი, 26 სექტემბერი 1909 წ. № 213

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა [illegible] «დროების» რედაქციაში და კანტორაში [illegible] კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

ტფილისის ქალაქის გამგეობა აუწყებს ტფილისის მცხოვრებთ, რომ ტფ. ქალაქის თავად ნამყოფის

ალექსანდრე სტეფანის ძის მატინოვის

ცხედრის გამოსვენება (ბათუმიდან მოსვენების შემდეგ) ტფილისის სადგურიდან მოხდება კვირას, 27 სექტემბერს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა განსვენებულისა მოხდება იმავე დღეს ვანქის სომეხ-გრიგორიანთა ტაძრის გალავანში. ვისაც სურს გვირგვინით შეამკოს კუბო, უნდა გვირგვინი შაბათ საღამომდე მიიტანოს ქალაქის გამგეობაში, ხოლო კვირას დილით—სადგურზე. (2—ნ.—2)

ეფემია სოლომონის ასული ასათიანისა, მაგდალინა სოლომონის ასული გიორგაძისა თავიანთ ქმარ-შვილებით და **ზაქარია გიორგის ძე ფორაქაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—თავიანთ ძმისა და მეორე ბიძის

ალექსი სოლომონის ძის ბურდულისას.

პანაშვიდი გადახდილი იქნება ტფილისის საავადმყოფოს სამლოცველოში 25 ენკენისთვეს, საღამოს 6 საათზე, ხოლო გასვენება იქიდანვე შაბათს, 26-ს, დილის 9½ საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. (2—467—2)

ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, მოწაფეთ და მათ მშობელთ, რომ კვირას, 27 სექტემბერს, შუადღის 1 საათზე, სამუსიკო სკოლის სადგომში, საპიერის ქ., № 18, გადახდილი იქნება პანაშვიდი გამგეობის თავმჯდომარის

იოსებ ალექსანდრეს ძის სულხანიშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—468—1)

ბეგლარ კონიას ძე ვართანოვი და ნინო მოსეს ასული ვართანოვისა შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 22 ამ თვეს—პირველი ძმის, ხოლო მეორე მაზლის პირველი გილდის ვაჭრის

კარაპეტ კონიას ძე (იგივე თომას ძე) ვართანოვისას.

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 ს., საკ. სახ., ბებუთოვის ქ. № 40; გამოსვენება კვირას, (27 სექტემბერს) დილის 10 საათზე, ნორაშენის ეკლესიაში; დაკრძალვა იქვე, ეკლესიის გალავანში. (2—471—)

ნინო სტეფანეს ასული ვართანოვისა, ტიგრან და ისაკ კარაპეტის ძენი, ანნა არტემის ასული, ნატალია იაგორის ასული ვართანოვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ 22 ენკენისთვეს გარდაცვალებულის—პირველის მეუღლის, მეორეების—მამის, მესამეთა—მამამთილის, 1-ლი გილდის ვაჭრის

კარაპეტ კონიას ძის ვართანოვისას.

პანაშვიდი დღეს საღამოს 7 ს., საკ. სახლში, ბებუთოვის ქ., № 40. გამოსვენება კვირას, (27 ენკენისთვეს) დილის 10 საათზე ნორაშენის ეკლესიაში; დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში, (2—572—1)

წარმოდგენა № 1. **წარმოდგენა № 1.**

ქართული თეატრი

სეზონის 1909—10 დასაწყისი

კვირას, 27 სექტემბერს, 1909 წელს ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ **ქ-ნ ნ. კოლხიდელის სადებიუტოდ და შ. შარაშიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ვ. ჩერქეზიშვილი; ბ ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ს. გვარამძე, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ზამშელი, შ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, შ. შარაშიძე, ვ. მატარაძე, ი. ზარდალიშვილი.

ადგილების ფასი. ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მედეია“, „უდანაშაულოდ დასჯილნი“, „ექიმი აშირბარჯიანი“.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ყრუშაძე.**

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ვისაც სურს ჩაეწეროს ქართულ დასში თანამშრომლად (სტატისტად), შეუძლიან მიმართოს ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში რეჟ. თანაშემწეს ვ. ყრუშაძეს. (4—3)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—14)

ექიმი კბილისა ს. ვაშაყმაძე აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—16)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—15)

ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—16)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 26 ენკენისთვეს, 1909 წ.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

„ცხოვრების გარეშე“

პიესა 4 მოქმედებად პროტოპოპოვისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ორშაბათს საღამოს, 5 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენად; «შემოსავლიანი ადგილი», ოსტროვსკისა. „პეპო“ სუნდუკიანცისა და სხვ.

დაბეჯითებით ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება. პატარა ბავშვების თეატრში შემვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—3) რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ხალ.—8)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—71)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამ. კურნალობისა მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 167)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—74)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (ნ—586—257)

ქუთაისში კბილის ექიმის **დ. ს. რუჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

სამკურნალო

პირის და კბილების სენისა, პლომბები, ჩასმა ძვლოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია, მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—4)

ექიმი მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ახლად გახსნილი **ტფილისის**

კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ი. ზ. ფელდორგი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **ვ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს,
- **მ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა,

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური **და** ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—165)

ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს , საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—22)

ექიმი ჩარექოვი ქ. ქუთაისში. სპეციალისტი. იღებს განსაკუთრებით **სიფილისით,** ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გაგუას ქუჩა, აბულაძის მესახვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—16)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. სააგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყით და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (60—ნ.—31)

სამუსიკო სკოლა

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ უკვე არსებულ ფორტეპიანოს, სკრიპკის და მუსიკის თეორიის კლასსებს გარდა, პირველ ოქტომბრიდან იხსნება კიდევ შემდეგი სპეციალური კლასსები და მასწავლებლებადაც მოწვეული არიან: სკრიპკისა—ვენის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრებული დ. ძ. გროსმანი, ვიოლონჩელისა—პარიზის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრებული ბ. ი. დრობოგლავი და სიმღერა (solo)—ოპერის არტისტი ნ. დ. კოვალენსკი. ფასი სკრიპკაზე და ვიოლონჩელოზე სწავლისა 60 მ. წელიწადში ხოლო სიმღერისა—75 მანეთი.

ამასთან სკოლის გამგეობას აზრადა აქვს, ფილარმონიულ საზოგადოების ხორო შეავსოს ახალ წევრებითა და ავარჯიშოს იგი ეკკლესიებში და კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად. ამისათვის აუწყებს ამას გამგეობა, როგორც ხორო ძველ მომღერალთ, ისე იმათ, ვისაც სურვილი აქვს ახლად ჩაეწეროს ზემოხსენებულ ხოროში. ხმების გასინჯვა, ძველი მომღერლების გამოცხადება და ახლად გახსნილ კლასსებში მოწაფეთა მიღება დანიშნულია სკოლის კანცელარიაში, ყოველ დღე ნასადილევის 5—8 საათზე; საპიერის ქუჩა, სახ. ქულენტიასა, N 18. (3—3)

საბურთალოზე

ახალ ეკკლესიის მახლობლად, იყიდება ახლად ნაჭრებად დაჭრილი მამული საგაბაშვილო; მშვენიერი მდებარეობა, ჰაერი, საქართველოს სამხედრო გზა და მტკვარი ზედ გვერდზედ. პირობისთვის შეგიძლიანთ მიმართოთ ოლგას ქუჩაზე სახლი № 6, ეზოში მეორე სართული. (3—459—2)

ქარ. დრამატ. საზოგადოების

გამგეობა

სთხოვს ყველას, ვისაც გამგეობის ბიბლიოთეკიდან წაღებული აქვს **პიესები, წიგნები ან როლები** დაუბრუნოს ამ მოკლე ხანში გამგეობის კანტორაში ბიბლიოთეკის გამგეს იოსებ იმედაშვილს.

(3—1) **დრამ. საზ. გამგეობა**

ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს,

მცხეთობა დღეს,

მცხეთაში კოტე გედევანიშვილის ბაღში (აქედან მისავალში, სოფლის თავში) ადგილობრივ **წმ. ნინოს დედათა სკოლის სასარგებლოდ** გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა

იქნება ყოველ გვარი გასართობი: ბედის კვერი, პტი-შვო, კონფეტტი და მრავალი სხვა. დაუკრავს სამხედრო მუსიკა. გაიმართება ბუფეტი, სადაც ჩაი, ყავა, საჭმელ სასმელი იაფად გაიყიდება.

სეირნობა დაიწყება 12 საათზე. (4—უ.—1)

ტფილისის წმ. სამების ეკლესიის კრებული და

მნათე

სთხოვენ ზემო აღნიშნულს ეკლესიის მრევლს მობრძანდნენ კვირას, 27 სექტემბერს, 12 საათზე, რომ **აირჩიონ მნათე,** ხუთი წევრი სამზრუნველოსი და სამი წარმომადგენელი მრევლისაგან.

მღვდელი ვასილ **კარბელაშვილი.** (2—469—1)

ნაფიცი ვექილი

სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო **„ლონდონის“** ახლოს). (25—ნ.—17)

---

1 ოქტომბრიდან გამოვა დღე გამოშვებით

„სახალხო გაზეთი“

მცირე ფორმატისა. ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ. რედაქციის ადრესი: სტამბა „გუტენბერგი“, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩის კუთხე.

რედაქტორი და გამომცემელი

(3—2) **დარია ხრამელაშვილი.**

ტფილისი, 26 სექტემბერი

დღეს ტფილისში იხსნება უმაღლესი კურსები ქალთათვის. დიდის თანაგრძნობითა და იმედებით ვეგებებით ამ ღირსშესანიშნავ საკულტურო დღესასწაულს, რომლის მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. ეს ფაქტი უტყუარად მოწმობს, რომ კავკასიის მკვიდრთა ქალებმაც დაამსხვრიეს ძველი ცრუმორწმუნეობა, რომლის ძალით ქალებისათვის დახურული იყო არა-თუ უმაღლეს, არამედ საშუალო სასწავლებლის კარიც. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, როცა საშუალო სასწავლებლებში მოსწავლე ქალთა რიცხვიც კი თითებზე ჩამოსათვლელი იყო, ხოლო უმაღლეს სწავლის მაძიებელ ქალებს სასაცილოდ იგდებდნენ. ეხლა ჩვენებური ქალიც უფლებიანი წევრი გახდა თანამედროვე სოციალურ საზოგადოებისა და ეს უფლება მოიპოვა მან დიდის ბრძოლითა და ტანჯვით. მე-70 და მე-80 წლებში დიდად თავგანწირული უნდა ყოფილიყო ჩვენებური ქალი, რომ გაებედნა ათას დაბრკოლებისა და ათასგვარ ცრუმორწმუნოებასთან შებრძოლება. თითო-ოროლა მათგანი თითქმის ძალით გარბოდა საზღვარ-გარედ და იქაურ თავისუფალ უნივერსიტეტებში დიდის გაჭირვებით ეწაფებოდა უმაღლეს სწავლას. დაუცხრომელმა ბრძოლამ უქმად არ ჩაიარა და უმაღლეს სწავლის მიღების მსურველთა რიცხვი თან და თან გამრავლდა. ამ ჟამად რუსეთშიაც და საზღვარ-გარედაც ადგილობრივ ბევრ ერთი ქალი სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში და ეს აღარც მავნებლად, აღარც საჩოთიროდ არ მიაჩნია საზოგადოებას.

რომ კავკასიელმა ქალმა გაიმარჯვა ამ თავის პირველ ნაბიჯში ქალთა განთავისუფლების გზაზე, ამას დღევანდელი დღესასწაულიც მოწმობს: ეხლა თვით საზოგადოებაა მოწადინებული გაუადვილოს ქალს უმაღლეს სწავლის მიღება და, მრავალ დაბრკოლებისა და დიდ სიძნელის მიუხედავად, კერძო ინიციატივა აარსებს მაღალ მეცნიერების ტაძარს. ეს გარემოება დიდად წასწევს წინ ადგილობრივ მკვიდრთა ქალების საქმეს, რადგან ამიერიდან ბევრ ხელმოკლეს გაუადვილდება უმაღლეს სწავლის შეძენა სამშობლოშივე. ხოლო რა დიდი მოგება იქნება ეს ჩვენი ქვეყნისათვის, ამაზე სიტყვის გაგრძელება მეტია: რაც უფრო დიდი იქნება სერიოზულად განათლებულ ქალთა რიცხვი, მით უფრო წინ წაიწევს ჩვენებური ოჯახიც, ჩვენი საზოგადო საქმეებიც, მოზარდ თაობის აღზრდა-განათლების საქმეც და მთლად ჩვენი კულტურული წინსვლის საქმე.

ამიტომ სრულის თანაგრძნობისა და ქების ღირსნი არიან ისინი, ვინც გაიფიქრა და სისრულეში მოიყვანა ეს დიდი და მეტად ძნელი საქმე. უნდა გვახსოვდეს, რომ ქალთა უმაღლეს კურსების დაარსება იქაც დიდად გასაჭირია ხოლმე, სადაც მამაკაცთათვის უკვე არსებობს უმაღლესი სასწავლებელი; ტფილისში-კი ასეთი საქმე ერთიათად უფრო ძნელია. შეიძლება ამ გარემოებამ ხელი შეუშალოს. პირველ ხანებშივე სათანადო ღირსების მასწავლებელთა წრის შედგენას, მაგრამ, ეჭვი არ არის, თან და თან ესეც გასწორდება, მით უმეტეს, რომ საფიქრებელია—კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების დროც აღარ არის შორს...

მივულოცავთ ქალებსაც და კურსების დამაარსებელთაც სადღესასწაულო დღეს, ხოლო საზოგადოებას მოვაგონებთ, რომ მისი პირდაპირი ვალია—ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმეს. მაგალითად რუსის საზოგადოება ჰყავდეს: მხოლოდ ამ საზოგადოების დიდმა თანაგრძნობამ და ენერგიულმა დახმარებამ შესძლო ქალთა უმაღლეს სკოლის მკვიდრად დაყენება რუსეთში.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რედაქციამ მიიღო მე-16 ნომერი ფრანგულ ჟურნალ „Le Courrier Europeén“-ისა, სადაც მოთავსებულია გრიგოლ გველესიანის წერილი შემდეგის სათაურით: „რუსის რეჟიმი საქართველოში“. ავტორი აცნობებს ევროპიელებს საქართველოში მომხდარ ბოლო წლის ამბებს. აღნიშნულია მდგომარეობა თავად-აზნაურობისა, სათავად-აზნაურო ქართულ გიმნაზიათა და სხვა. აღწერილია ჩვენი ეკლესიის ვითარება 1811 წლიდან, მოძრაობა სამღვდელოებისა და სხვა. დასასრულ, ავტორი აღნიშნავს იმ ზომებს, რომელსაც ქართველი საზოგადოება და ახალ-გაზრდობა აქ და საზღვარ-გარედ ხმარობს საქართველოს ეკლესიის დასაცველად. პროფესსორ ლორანმა, „მოქალაქისა და ადამიანის“ უფლებათა დამცველ ლიგის თავმჯდომარემ წერილი დაბეჭდა ერთ ფრანგულ ჟურნალში, სადაც ეხება ჩვენ საეკლესიო უფლებათა დარღვევის საკითხს. მანვე მისწერა წერილი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოვს და სთხოვა დაეხმაროს ეპისკოპოს კირიონს. ავტორი ამბობს, ამგვარები მოქმედებენ ყველგან, საქართველოში და საზღვარ-გარედ, პარიზში, ბრიუსსელში და სხვაგანაო.

დეპეშები

(პეტ. რს. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 სექტემბერი

სპარსეთი

თეირანი. თავრიზმა 11 დეპუტატი აირჩია. დეპუტატები უკვე გაემგზავრნენ თეირანში. დეპუტატებმა წასვლის წინ გენერალ-გუბერნატორისაგან სამოც-სამოცი თუმანი მიიღეს. მეჩეთებში მოლები თავრიზელ დეპუტატ ტაგი-ზადეს წინააღმდეგ ლაპარაკობენ. მათის აზრით ტაგი-ზადეს სურს პირველობა დაიჭიროს. მართალი გამოდგა ის ხმა, ვითომ ყარადაღის მმართველი რახინ-ხანი დამბლად დაცემულიყოს. რახინ-ხანს გადაწყვეტილი აქვს ევროპიელი ექიმი მიიწვიოს.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. იუწყებიან, ასკვიტი ბალმორალში იმიტომ გაიწვიეს, რომ მეფეს სურდა გაეგო დაწვრილებითი ცნობები იმ შეთანხმების შესახებ, რომელიც ამ რამდენიმე კვირის წინად მოხდა ლორდთა პალატის ზოგიერთ წევრებს და სამინისტროს შორის. შეთანხმება მოხდა ახალ საბიუჯეტო საკითხების შესახებ. ჰფიქრობენ, რომ მინისტრებმა კერძო ლაპარაკში უკვე გამოსთქვეს ამ შეთანხმების დედა-აზრი—ლორდთა პალატა ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება მიიღოს ახალი ბიუჯეტი. საზოგადოების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ რაც გინდა გადაწყვეტილება მიიღოს ლორდთა პალატამ მთავრობა მაინც დანიშნავს საერთო არჩევნებს.

ნაშუადღევის 2 საათზე დეპუტატთა პალატამ მეორედ წაიკითხა კანონ-პროექტი ახალ ბიუჯეტის შესახებ. სამინისტროს მომხრე პარტია ტაშის ცემით მიეგება დეპუტატთა პალატის ამ მუშაობას.

ლორდთა პალატის ოპოზიციის მეთაურმა ლენდსდოუნმა განაცხადა. ტყუილია ის ხმა, ვითომ მე მეფეს ბალმორალში გავეწვიე.

პარიზი. დაიწყო ჰაეროპლანების გაჯიბრება. გაჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 40 ჰაეროპლანი. ჰაეროპლანების გაჯიბრება ორ კვირას გასტანს.

რუსეთი

კურსკი. სოფელ კრაპივნოში გადაიწვა 46 სახლი და წრევანდელი მოსავალი.

პეტერბურგი. სამხედრო ოლქის სასამართლომ დაამთავრა სოციალ-დემოკრატების პარტიის სამხედრო ორგანიზაციის საქმე. სამართალში მიცემული იყო 36 კაცი. სასამართლომ გადაუწყვიტა: 12 სხვა და სხვა ვადით კატორგა, 20 გადასახლება, ხუთი გაამართლა.

მოსკოვი. პოლიციამ მოსკოვის კოოპერატიულ საზოგადოების ბინაზე აღმოაჩინა არალეგალური ლიტერატურა და რევოლვერის პატრონები. დააპატიმრეს საზოგადოების გამგეობის მოსამსახურე.

სიმფეროპოლი. ცეცხლი წაეკიდა ქალაქის საყასპოებს, რომელსაც ამ რამდენიმე ხნის წინედ ბოროტგამზრახველები დაეცნენ. ცეცხლის ჩასაქრობად ჯარი გამოიწვიეს.

პეტერბურგი. სლობოდსკაიაში დახურეს პოკლევსკი-კოზელის სამთო ქარხნები. მიზეზი—აუარებელი ვალებია. მუშებს ჯერჯ-ჯერობით დახმარებას გაუწევენ.

პერმი. სოფელ ნიჟნი არმიაზში გადაიწვა 40 სახლი.

პეტერბურგი. სენატმა განიხილა სარატოვის სამოსამართლო პალატის პროკურორის პროტესტი 7 კაცის გასამართლების შესახებ. ამათ ჰბრალდებოდათ სრულიად რუსეთის რკინის გზების მოსამსახურეთა კავშირის სამხედრო ორგანიზაციების კონფერენციაზე დასწრება. სენატმა დაადგინა ახლად განიხილოს ეს საქმე. სამოსამართლო პალატის განაჩენით გადაწყვეტილი ჰქონდათ: ხუთს სხვა და სხვა ვადით კატორგა. ხოლო 2 გაამართლეს.

სენატმა უყურადღებოდ დასტოვა მარიოპოლის გაფიცვის კომიტეტის 15 წევრის საკასაციო საჩივარი. ბრალდებულებს სხვა და სხვა ვადით ციხე ჰქონდათ გადაწყვეტილი.

პეტერბურგი. მთავარმა სამხედრო სასამართლომ გააუქმა ეკატერინოდარის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი გლებ ბოროდაშკინს. ბოროდაშკინს მემამულე სელეზნევზე თავდასხმა ბრალდებოდა.

ვიტებსკი. მემამულეებმა სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს ლოპაცინსკი.

ხოლერა

პეტერბურგი. დღე-ღამეში ავად გახდა 26, გარდაიცვალა 14, ავად არის 342 კაცი.

გროდნო. ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

ჩერნიგოვი. 21 სექტემბერს სლაბოდკაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 4 კაცი.

ქალთა უმაღლესი კურსები

დღეს მოსალოდნელია ჩვენი მხარე და კერძოდ ტფილისი, რომ ემატება ერთი კიდევ ძვირფასი ტაძარი განათლებისა—საძირკველი ეყრება ქალთა უმაღლეს კურსებს.

რომელი მამაკაცც კი არ გადაჰყოლია თავის ეგოისტურ გულის თქმას, ვისაც გულწრფელადა სწამს ზნეობრივი მოვალეობა და სამართალი, იმას არ შეიძლება არ ახარებდეს, ყოველივე პროგრესი, ყოველივე ნაბიჯი, წინ წადგმული უფლების მოსაპოვებლად დედაკაცების მიერ, რომელთა ინტერესებიც ასე მჭიდროდ და განუყრელად არის ჩაქსოვილი მამაკაცების ინტერესებში; აღარას ვიტყვით იმაზე, რომ დედა-კაცი, უმრავლესს შემთხვევაში, ხან მფარველი ანგელოზია და ხან გრძნეული ძალა კაცის ყოველგვარ მოქმედებაში...

გულ-დასმით და მიუკერძავად რომ გადავათვალიეროთ ისტორიული წარსული ამ ორ სქესის ურთიერთ განწყობილებისა, დავაკვირდეთ მათ საუკუნეებით გამოვლილ ბრძოლას უფლების, უპირატესობის შესანარჩუნებლად, არ შეიძლება იმ დასკვნამდე არ მივიდეთ, რომ პირდაპირი ინტერესები როგორც ოჯახისა, ისე საზოგადოებისა, სახელმწიფოსი და კულტურისა მოითხოვს, რომ მოსპობილ იქმნას ეგოისტ მამა-კაცის მიერ დედა-კაცისთვის ხელოვნურად შექმნილი ბარიკადები და სავსებით გათანასწორდეს ეს ორი სქესი უფლებრივად, ეკონომიურად, სოციალურად და იურიდიულად, იმას ხომ უარს ვერავინა ჰყოფს, რომ დედაკაცი იმგვარისავე „ცომისაგან“ არის „გამომცხვარი“, როგორისაგანაც მამაკაცია. ჩვენმა მგოსანმა შოთამ ჯერ ისევ ამ რვა საუკუნის წინადა სთქვა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადიო“. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დამონებული დედაკაცი, შვილსაც ვერ აღზრდის ნამდვილ მოქალაქედ.

ჩვენ გვრწამს, რომ ტფ. ქალთა უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი, როგორც ჯეროვნად მომზადებულნი სამოღვაწეოდ თანამედროვე რთულ ცხოვრებისთვის, ხალისით შეებმიან ჭაპანში იმ ძვირფას მებრძოლთან ერთად, რომელნიც თავ გამოდებით უღვიძებენ თვით-შეგნებას თანამოქალაქეთ, აკავშირებენ მათ, აქეზებენ თავიანთ ძალას, ენერგიას და იერიში მიაქვთ იმ მეტად ძნელ და შორეულ, მაგრამ დიდებულ და წმინდა იდეალისაკენ, რომელსაც ერთობა და თანასწორობა ჰქვიან.

გულით ვუსურვებთ ქალთა ამ ახალ ტაძარს აყვავებას, როგორც ერთ-ერთ საფეხურს იმ კიბეზე, რომელიც დასახელებულ იდეალისაკენაა აღმართული.

გ. ბ—ცხელი.

„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „უეცარი ტალღა“, დრამა (დასასრული) ლევ. მეტრეველისა; ახალი სახნავი მანქანა,—რევაზ გედევანიშვილისა, წვრილი ამბები; სურათები: „აბანოდან ამოსული ქალი“,—ქანდაკება კაბესი, ახალი სახნავი მანქანა (სამი სურათი).

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქალთა უმაღლესი კურსები.** დღეს, 26 სექტემბერს, ტფილისში გრიბოედოვის ქუჩაზე (№ 22) გაიხსნება და მოქმედებას დაიწყებს ტფ. ქალთა უმაღლესი კურსები. დილით გადაიხდიან პარაკლის და სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი მიულოცავენ კურსების ინიციატორებსა და დამაარსებელთ სწავლის დაწყებას. წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ თავის მხრით კურსების გახსნაზე დასასწრებლად აირჩია საზოგადოების თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი.

◆ **ახალი თანაშემწე ნამესტნიკისა.** გამართლდა ხმები ნამესტნიკის თანაშემწის მიცკევიჩის, თავის თხოვნით, სამსახურიდან გადადგომის შესახებ. იმის ადგილზე ნამესტნიკის თანაშემწედ, სამოქალაქო ნაწილის გამგედ, როგორც სააგენტო გადმოგვცემს, დაინიშნა სენატორი ვატაცი.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოება.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 24 სექტემბერს განიხილა რამდენიმე მიმდინარე წვრილმანი საქმეები. სხვათა შორის, გამგეობამ მოისმინა მოხსენება გომარეთის სკოლის სადგომის შესახებ. აღნიშნულ სკოლის შენობა მეტად დაძველდა და დიდი შეკეთებაა საჭირო. თუმცა სამას კომლიანი სოფელი ერთ გროშსაც არ იხდის სკოლის შესანახად, მაგრამ მას იმდენი ფულიც-კი ვერ გაუღია, რომ შენობა შეკეთდეს და შესაძლებელი გახდეს იქ სწავლა. მთავარმა გამგეობამ დაადგინა, გადასდოს ჯერ-ჯერობით 30 მან. და დაავალოს ახალ მასწავლებელს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სკოლის შეკეთების საქმეს და შემდეგშიაც გაუფრთხილდეს მას. ამავე სხდომაზე საზოგადოების მდივანმა ხელ-ახლა აღსძრა საკითხი ქართულ სტამბის დაარსებიდან 200 წლის შესრულების გამო საიუბილეო დღესასწაულის გამართვის შესახებ. მეორე წელიწადია ეს საკითხი აღიძრა, მაგრამ ჯერ არა გაკეთებულა-რა. გამგეობამ დაადგინა, საბოლოოდ ამაზე მსჯელობა იქონიოს შემდეგ სხდომაზედ. ამ სხდომაზე მოწვეულ იქნება ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო.

◆ **შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ საფინანსო კომისიასთან ერთად დაამთავრა 1910 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. ამ აღრიცხვით მომავალ წელს შემოსავალი მოსალოდნელია 1,800,000 მანეთი, ხარჯი—2,100,000 მანეთი. ხარჯის გადიდება გამოიწვია პოლიციის შესანახ ფულის გადადებამ, რადგან გაისს ქალაქმა ამისათვის უნდა გადასდოს 268,000 მან., ნაცვლად წინანდელ 110,000 მანეთისა. ამ რიგად დეფიციტი 300,000 მანეთს უდრის. რადგან გამგეობამ ვერავითარი წყარო ვერ გამონახა დეფიციტის დასაფარავად და ახალ გადასახადის შემოღებაც შეუძლებლად სცნო, გადასწყვიტა ხარჯი შეამციროს. განზრახულია მომავალ წელს ახალი სკოლები არ გაიხსნას, შემცირდეს შტატი ქალაქის საავადმყოფოთა პირველ პავილიონისა, რომელიც დეკემბრიდან უნდა გაიხსნას, დაიხუროს სულით ავადმყოფთა თავშესაფარი და სხვა.

◆ **სოფლის დასჯა.** ქუთაისის გუბერნატორს ნამესტნიკისათვის უთხოვნია: რადგან ლეჩხუმის მაზრის ლაშხეთის სოფლის საზოგადოება ხელს აფარებს და არ ამხელს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედს, რომელთაც ადმინისტრაცია დაეძებს, ამიტომ გთხოვთ ამ საზოგადოებას ექვსი თვის ვადით ჩამოართვათ უფლება მამასახლისის არჩევისა. ნამესტნიკმა შეიწყნარა ეს თხოვნა. ლაშხეთში გაიგზავნება მთავრობის მამასახლისი ოთხი სტრაჟნიკით.

◆ **გორის ვაჟთა პროგიმნაზია.** გორის ვაჟთა პროგიმნაზიაში საგრძნობლად იმატა მოწაფეთა რიცხვმა. შარშან 86 მოწაფე იყო, ამ ჟამად კი 170 მოწაფემდეა. ამათგან 120 მოწაფემდე ქართველია, დანარჩენები სომხები, ოსები და რუსები. პროგიმნაზიის გამგეს ბ-ნ ზაალიშვილს ქართულის ენის მასწავლებლად ნაცვლად განსვენებულის ი. პ. მგალობლიშვილისა, მიუწვევია სასულიერო აკადემიაში სწავლა დამთავრებული ბ-ნი კაპანაძე.

◆ **უპასპორტოები.** ტფილისში თითქმის ყოველ დღე ჩხრეკაა და თითქმის ყოველ უბანში აპატიმრებენ უპასპორტოებს და ეტაპით ისტუმრებენ თავიანთ სოფლებში. წელს ნაკლებ მოსავლისა გამო სოფლელი ხალხი, სამუშაოს საძებნელად მრავლად მოაწყდა ქალაქს. სასურველია, სოფელში შეგნებულმა პირებმა განუმარტონ სამუშაოზე მიმავალთ, რომ უპასპორტოდ არ წამოვიდნენ.

◆ **ერობის შესახებ.** 24 სექტემბერს საღამოთი, გ. ბ. გვაზავას თავმჯდომარეობით, მოხდა სხდომა ერობის პირველ სექციისა, რომელსაც მოხსენება წარუდგინა მცირე კომისიის თავმჯდომარემ ალ. ბ. მდივანმა. მცირე სექციის მოხსენებით, ერობის მცირე ერთეულად შეიძლება ჩაითვალოს ეხლანდელი სოფლის სამამასახლისო იმ უფლებით, რომ სოფლის საზოგადოებათ შეეძლოთ შეერთება სხვა საზოგადოებათაგან, ან დაყოფა ცალკე საეროებო ერთეულებად. მცირე ერთეული უნდა იყოს აუცილებლად უწოდებრიო და, როგორც სამეურნეო ორ-

---

მთის ერთობა

((დასასრული *)

მყინვარი

სწორია, ბატონობასა
ერთის მეორის ჩაგვრასა
ვერ მოვიწონებთ ვერა დროს,—
აშკარად ვამბობ ამასა.
ერი ერისგან ჩაგრული,
თუ კაცი კაცის მიერა,
ულმერთობაა დიადი,
გულის საკლავი ძლიერა;
ერთი მეორის წყალობით
რად უნდა იყოს მშიერა
სულით და ხორცით? ეს მეტად
კაცთ დამამცრობი წესია.
ჩვენ ყველას ვაძლობთ,
თუმც ცოდნით ჭკუა არ გაგვილესია,
ამმაღლებელი გონების
ცოდნა არ დაუთესია
ჩვენში არავის, ხალხში კი
აუარები სთესია,
ქრისტედან მოყოლებული
მრავალზე უმრავლესია
და ქრისტეს წინად რამდენს სხვას
საცოდნი დაუკვესია.
სირცხვილი არი შენთვისა,
ბარო, რომ ეგრე ჰკვნესია!
აბა, ვიფიქროთ კარგადა,
მართლა არ არი ესია?!.

სპეროზა

მართალი არი: საწყალ მთებს
სად გვინახია ანბანი?
ჩვენში, კაცთ შორის რაც ხდება,
ღმერთმა გვაშოროს ამბავი.
წერაც-კი არავინ ვიცით,
ვგონებ, არ ვსტყუი, ჩვენშია.
კალამი ჩვენგან არავის არ აუღია ხელშია.
ჩვენი გონება ცოდნითა
არავის გაუგერშია.
რაც გავჩნდით, ისევ ისა ვართ
ამ ასიათას წელშია.
ჩვენ არცავის რა წავართვით,
არცავინ დაგვიჩაგრია
მართალსა ბრძანებთ, ნათქვამი
მეც მომწონს, სწორედ აგრია.
მაგრამ წერილმა ბარიდან
კინალამ ჰკვიდან აგვრია.
ერთობის ჰეხა ქუხილმა
კინალამ ხელი დაგვრია

ბორბალა

მეც ეგ არ მიკვირს, უცბადა
რამ დაგვძრა, აგვაჩოჩქოლა?
ჩვენსა ვწუნობდით ზნე-წესსა,
თავზე ვიყარეთ ქოქოლა.
რა იყო? საიდან მოხდა
ამ გვარ ფიქრების მოწოლა?
მთანი მთობასა ვწუნობდით,
არ გიკვირსთ, მოხდა როგორა?
მიტომ რომ რასღაც ვეძებდით
წესთა ბუნების ნასახსა,
უცხოს, უჩვეულებრივოს
მზესა, ჰაერს და ბალახსა;
მოგვწყინდა ერთგვარი ყოფნა,
გმობა დაუწყეთ ალლახსა
და როცა კარგად დავფიქრდით,
ახლა ვგმობთ ნაფიქრ-ნაძრახსა.
კიდევ კარგია, რომ ადრე
შევიგნეთ ჩვენი შაცდომა,
ავყევით სხვათა ფეხის ხმას,
ვისურვეთ ღმერთად გახდომა
ჩვენისა ბედნიერ ყოფის,
ჩვენისვე თავის წახდომა.

იალბუზი (ბორბალას).

შენ სცდები, დარბაისელო,
ეგ ფიქრი არა გვქონია
არა დროს,—ღმერთად გახდომის,
უჭკოსგან მოსანდომია.
მხოლოდ უკეთეს ყოფნისა
ვინაც კი არი მნდომია,
არ არის დასაძრახისი...
ადვილად მისახვდომია,
გაცნობა თავის-თავისა
პირველი საქმე მგონია.
დღეს ვსცანით დაკვირვებითა
ჩვენი ძალი და ღონია,
სიავ-სიკეთე თავისა
ერთობის შესაწონია.
მეტს არც არას ვეძებთ, არცა ვთხოვთ,
მთათა ერთობა კარგია.
ან რა ვიჩივლოთ, ვეძებოთ,
ხომ არა დაგვიკარგია.
მაგრამ თუ შევძლებთ, რომ ბარსა
შეუმსუბუქოთ ბარგია,
ხმა მივცეთ გამამხნევები,
ნუ თუ ეს არა ვარგია?
უჭირს საბრალოს, ალბათა
იმიტომ შემოგვღაღადებს
და, რა შნო არი ჩვენთვისა
იმის დაბა და ქალაქებს,
ბაღებსა ია-ვარდიანს,
იმის კოპწია ალაგებს
არ მივცეთ აქით ლიტონი
ხმა მაინც თანაგრძნობისა,
ნიშანი ჩვენის კაცობის
და ჩვენი ცოცხლად ყოფისა.
კაცთა გარეშე ბუნება
იგივა, რაიც ჩვენია:
იცხოვრებს ისე, როგორაც
თვით უფალს გაუჩენია.
ფრინველთ და ცხოველთ სამეფო,
უექველია, ბარისა
იქნება იმავ რჯულზედა,
რაზეც დღესნამდე არისა;
მის ფიქრი ერთობაზედა
ამ მხრივ უცვლელი დარჩება
და საკამათო საგანი
მხოლოდ კაცთ კრებულს შაჰრჩება.
ამიტომ გმართებს წერილი
თუმც გვიკიჟინებს სპეროზა
უცოდრობასა,—არც სტყუის,—
ვპოვოთ რომ დაგვიწეროსა—
მწერალი, ჩვენი აზრები
ანუსხოს ცხადად, მჭევრადა,
მაშინ ის აღარ იქნება
სხვის ხმის ამომძახ ქვევრადა.
ბარს რომ ვახსენებ, ვგულისხმობ
კაცთა გარეშე სფეროსა:
მინდორ ველს ცხოველებითურ
სიტურფით გასაშტეროსა,
წყალ-ჰალებს დამწყაწრულებსა,
მოსაგრილებელს ჩეროსა.
ვარდს ფურჩნილს მაისისსა,
იქვე ხმელს ჯოყრის ღეროსა.
ჰსურდეს უარყოს ნაზრი
ჩვენი,—ჰსურს დაიჯეროსა.
და რომ არ ვამცნოთ პასუხი,
გამოსადეგი რაშია?..
რომ წიგნი დავაწერინოთ,
ისეთს ვის ვპოვებთ მთაშია?

ჩაფიქრდენ მთები ერთობლივ,
დაჰკიდეს თეთრი თავები,
სახეზე ეკრათ ყვითლადა
უთვალავის წყლის ლაქები
თვალი არ მოჰშორდებოდა
იყვნენ ისეთი კარგები.
გულ-მკერდი სალის კლდისა აქვთ,
სუფრათ უდგიათ ზვავები.

ბორბალა

დარბაისელნო, მე ვიცი
ჩვენს მთებში ერთი სვავია,
ნასწავლი, მხოლოდ იმას აქვს
განათლებული თავია,
და განირჩევა სხვებისგან
მითი რომ მტრებზე შავია.

მთები (ერთ-ხმად)

ძალიან კარგი, თუ ჩვენში
ეგეთი ვინმე არია,
მოვძებნოთ, მოვაყვანინოთ,
ვუამბოთ დასაბარია,
იმდენს როგორ ვერ დაგვიწერს
შევაჯერიოთ ბარია!

იმ სვავის დასაძახებლად
მთებმა გაგზავნეს ყვავია
უბრძანებს: „არას აკეთებ,
ჰნავარდობთ მარტო სჩხავია?
წადი და აქ მოგვიყვანე
ნასწავლი ლეში-ჭამია
სვავს გვეუბნება ბორბალა,—
თურმე გაწვრთნილი გვამია.
იცნობ-კი, სწორედ გვითხარი,
ცნობა რა დასამალია?

ყვავი

როგორ არ ვიცნობ, მუდამდღე
აქ ვხედავ მოფარფატესა,
სულ მთებში სცხოვრობს ბოლო დროს
ვერ მგზავრობს ბარის მხარესა.

მთები (ერთად)

რატომ? რა მიზეზის გამო
იგი ბარს შემოსწყრომია?

ყვავი

ხმამ ერთობისამ შეაკრთო,
მოჰკლავენ ისა ჰგონია.

მთები (ერთად)

უყურე თავ-კაუნასა,
იმასაც ჭკუა ჰქონია.

ყვავი

ალბათ ჭკუა აქვს და ცნება,
როს წერა-კითხვის მცოდნია,

მთები

ოლონდაც... მაგრამ ბრიყვს წიგნი
საიდან შეუსწავლია?

ყვავი

ეგ აღარ ვიცი, რო გითხრათ,
თქმა ტყუილისა მრცხვენია.

მთები

ძალიან კარგი. მაშ გასწი,
ვიცით არ გინდა ცხენია,
რითაც იყოს და არ იყოს
მოგვგვარე იგი ბრძენია.
ვიმედობთ არ გვალოდინებ,
ვნახოთ უნარი შენია!

ყვავი

ეხლავ, ამ წუთას აღსრულდეს,
გმირნო, წადილი თქვენია!

გასწია ყვავმა სრიალით,
სადც სვავი ეგულებოდა,
იქითვე, სადაც მრავალი
სვავთა ხმა ეყურებოდა.
მიცურავს ლაჟვარდს ცაშია
ნისლი არ ებურებოდა.
გზა-გზა ჰკითხავდა ფრინველთა
ქორსა, მიმინოს, ძერასა:
ხომ არსად არ შაჰხვედრიან
ბერ-სვავს მწიგნობარს, მწერალსა.
ზოგი ეტყოდა ჰოობით,
ზოგი ეტყოდა არასა,
ასდევ-ჩასდევდა ნაპრალებს,
სჩხრეკს ხევთა შასაყარასა
და როგორც იყო დაადგა
სვავების სავალს შარასა.
წაადგა თავსა, როს ბრძენი
სწიწკნიდა ძროხის გალასა.
სვავმა იწყინა მის მისვლა,
შორითვე გაეკამათა.

სვავი

სად მოჰფარფატებ, ეს ძვალი
მეც არ მეყოფა თავადა!

ყვავი

მიირთვი, არ გეცილები,
მე სხვა საქმე მაქვს შენთანა.

სვავი

თუ არა გასაკრავადა
რა გესაქმება ჩემთანა?!

ყვავი

ნუ თუ სმაზე და ჭამაზე
ტრიალებს მხოლოდ ქვეყანა?
შენთან მე მთებმა მომგზავნეს,
ვით განსწავლულთან, ბრძენთანა.

ყვავი მიუჯდა ახლოსა,
ძმური მიართო სალამი
უამბო, მთებს როგორ უჭირს
მისი ცოდნა და კალამი.

ყვავი

მთებსა აქვთ კრება რაზედაც,—
დიდი თათბირი, მსჯელობა
და თუ არ ვსცდები, საფიქრად
მათ გაჰხდომიათ ერთობა.
წიგნი მოჰსვლიათ ამაზე
გამოგზავნილი ბარითა
თავის მტვრევა აქვთ მის გამო
ერთობლივ დღე და ღამითა.
ფიქრობენ, ერთობაზედა
ბარად გაგზავნონ პასუხი,
შენ უნდა მიგაწერინონ
თავის აზრი და საწუხი.

სვავი

ღმერთმა დასწყევლოს ერთობა,
თავში კი იმის მამგონი!
ველარ წავსულვარ ბარადა
ხანი გავიდა რამდონი,
აღარ გვინდობენ, თუ სადმე

---

*) იხ. „დროება“ N 212.

განიზაციას, მას არ უნდა დაევალოს პოლიციის ფუნქციების აღსრულება. მოხსენების იმ ნაწილმა, რომელიც შეეხება მცირე ერთეულის მცხოვრებთა რაოდენობას და ტერიტორიას ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს თავ. ა. მ. არგუთინსკიმ, ა. ზ. მღივანმა, ა. ქალანთარმა, აბხაზმა, ი. ს. ჯაბადარმა, ალ. ხატისოვმა, დ. ე. ჩოლოყაშვილმა და სხვებმა. ბევრის აზრით, განსაზღვრა ტერიტორიისა და მცხოვრებთა რაოდენობისა მცირე საერობო ერთეულისათვის უნდა მიენდოს თვით სოფლის საზოგადოებებს, ზოგის აზრით—სამაზრო ერობას. მესამე საჭიროდ სცნობდნენ მცხოვრებთა რაოდენობის მინიმუმ-მაქსიმუმის წინდაწინვე გადაწყვეტას. დასასრულ, კრებამ, ხმის უმეტესობით, საჭიროდ სცნო ამ საქმის გადაწყვეტა თვით მცირე ერთეულს მიენდოს, ხოლო სადაო საკითხები უნდა გადასწყვიტოს სამაზრო ერობამ.

✦ **მომხმარებელი საზოგადოება საგარეჯოში.** საგარეჯოელებს კარგა ხანია უნდათ, თავი დააღწიონ ჩარჩ ბაცაცებს. აქამდის ბევრსა სჩიოდნენ, მაგრამ ვერაფერ საქმისათვის კი ვერ მოეკიდნათ ხელი. ეხლა სართიჭალის შუამავლის თავ. ი. ი. ვაჩნაძის მეთაურობით საზოგადოებას სურს მომხმარებელი საზოგადოება დაარსოს. ადგილობრივ უკვე რამდენიმე კრება გაუმართავთ და ბევრსაც გამოუთქვამს სურვილი წევრად ჩაწერაზე. გუშინ წინ თავ. ვაჩნაძემ მოიწვია ტფილისში საგარეჯოელები. ყველა სიხარულით მიეგება ამ საქმეს და აღუთქვა ყოველმხრივი დახმარება. შემდეგ წესდების შესამუშავებლად კრებამ აირჩია კომისია შვიდი კაცისაგან.

✦ **რეხას სკოლა.** სოფელ რეხაში (ბორჩალოს მაზრა) 156 კომლი ქართველობა სცხოვრობს. რადგან ეს სოფელი მეტად მოშორებულია ქართველებით დასახლებულ ადგილებს, სკოლა არსად ისე საჭირო არ არის, როგორც იქ. მიუხედავად ამისა, ერთად-ერთი სკოლა წერა-კითხვის საზოგადოებისა ეს რამდენიმე წელიწადია, უსახსრობისა გამო, დაიხურა. თუმცა სოფელში სამრევლო საეკლესიო სკოლაა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ნამდვილ სკოლობას ვერა სწევს. ამ სამრევლო სკოლაში მასწავლებლად ბერძენია, რომელმაც ქართული სულ არ იცის.

✦ **თავ.-აზნაურთა წარმომადგენლების წასვლა.** ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მიერ არჩეული წარმომადგენელნი სახ. საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პეტერბურგს მიდიან დღეს, 25 სექტემბერს.

✦ **სესხი ბათუმისთვის.** ბათუმის ქალაქის საბჭოს დაუდგენია, აიღოს სესხად 3,400,000 მანეთი. ამ ფულით ფიქრობენ მოაწყონ კანალიზაცია, გამართონ გიდრავლიური სადგური, წყლის სამკურნალო, თეატრი და სხვა.

✦ **კახეთის რკინის გზა.** ინჟენერი ადრიანოვი და სხვა ინჟენერები, რომელნიც ამ ზაფხულს იკვლევდნენ კახეთის რკინის გზის მიმართულებას, პეტერბურგს წავიდნენ. აქ დარჩა მხოლოდ ერთი დასი ინჟენერებისა, რომელიც გამოიკვლევს იმას, თუ რამდენად შეიძლება გზა დაუახლოვდეს ქალაქ სიღნაღს. სიღნაღის თვითმართველობამ ამ საქმისთვის ორასი თუმანი გადასდო.

✦ **ახალი გაზეთი ბაქოში.** როგორც „ზაკ.“-ს გაუგია, ბაქოში ოქტომბრის პირველ რიცხვებში, ბნ ბაქრაძის რედაქტორობით გამოვა ახალი რუსული გაზეთი „ბაკინსკი ვესტნიკ“-ი.

✦ **შავ-რაზმელები სამართალში.** ამას წინად მკითხველებს გავაცანით ის საზიზღარი ცილის-წამება, რომელიც შავრაზმელმა გაზეთებმა „ვეჩე“ და „გოლოს კავკაზამ“ ავლაბრის გიმნაზიის ინსპექტორს ი. ღულაძეს დასწამეს. რუსულ გაზეთების სიტყვით, ი. ღულაძე სამართალში აძლევს თურმე ორივე გაზეთის რედაქტორს.

✦ **სახალხო სეირნობა მცხეთაში.** პირველ ოქტომბერს, სვეტიცხოვლობა დღეს, მცხეთაში გაიმართება საინტერესო სახალხო სეირნობა ადგილობრივ წმ. ნინოს მონასტრის ქალთა სკოლის სასარგებლოდ. შეიძლება ბევრმა არც-კი იცის, რომ ამ მონასტერში არსებობს ქალების სკოლა პროგიმნაზიის კურსით და პანსიონით. ძალიან დიდი ხანია რაც ეს სკოლა არსებობს და მრავალი ქართველი ქალიც გამოზრდილა აქ. პროგიმნაზია თითქმის საკუთარის საშუალებით ინახება. ცოტა-ოდენ შემწეობას, ისიც შარშანდელს აქეთ, სკოლას უწევს საეპარქიო სამოსწავლო საბჭო. სხვა არსაიდან გროში კაპეიკი არ ეძლევა ამ პროგიმნაზიას, რომელიც სწავლა-განათლებას ავრცელებს ქართველთა უღარიბეს ნაწილში. ამ ჟამად პროგიმნაზიაში სწავლობს ასამდე ქალი და არის ექვსი მასწავლებელი-ქალი. მოსწავლენი არიან ქართლ-კახეთიდან, იმერეთიდან, გურიიდან და სვანეთიდანაც კი. სკოლას კერძო შემოწირულებაც არსაიდანა აქვს. შარშან სკოლამ დახმარება სთხოვა ტფ. თავად-აზნაურობას, მაგრამ უარი მიიღო, თუმცა წინად, ნინო ამილახვრის ილუმინობის დროს, თავად-აზნაურობა ყოველთვის აძლევდა პროგიმნაზიას ორმოცა-სამოც თუმანს. აი, ეს სიმპატიური დაწესებულება მართავს სახალხო სეირნობას მცხეთობა დღეს, გედევანიანთ ბაღში. ინიციატორებს იმედი აქვთ, რომ ქალაქიდან ბევრნი ჩავლენ და სეირნობას ეწვევიან. თადარიგს დიდი ხანია შეუდგნენ და, როგორც გადმოგვცეს, სეირნობა საინტერესო იქნება. თუ ვინმე გაიმეტებს და შესწირავს რამეს სკოლას სეირნობისათვის, დიდ მადლობას მიიღებს სკოლისა და ინიციატორებისაგან. იმედი აქვთ, რომ ისინი, ვინც ამ პროგიმნაზიაში გამოზრდილან, თავიანთ წვლილს არ დაიშურებენ. ადრესი: მცხეთა, დედათა მონასტერი.

✦ **სახალხო წარმოდგენა.** დღეს, 26 სექტემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიმართება მესამე სახალხო წარმოდგენა. სექციის დასი ქ. შათირიშვილის რეჟისორობით წარმოადგენს პროტოპოპოვის პიესას: „ცხოვრების გარეშეს“. ადგილების ფასი, როგორც ყოველთვის, შაურიდან ათ შაურამდეა.

✦ **დაპატიმრება.** 23 სექტემბერს ჩხრეკის დროს პოლიციის მესამე ნაწილში დააპატიმრეს 21, ხოლო მე-4 ნაწილში—4 უპასპორტო კაცი.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციას გააფრთხილოს ქალაქის მეეტლე-მედროგენი, რომ ვერის ხიდზე ნელა იარონ, რადგან ჩქარი სიარულისაგან ხიდის რკინის ნაწილები ჯაყჯაყებენ და შეიძლება ხიდი დაზიანდეს.

✦ ქიზიყში თავ. ვაჩნაძისა და აბხაზის მამულში, ნაშრომში, უნახავთ ორი მოკლული კაცის გვამი. ერთი გამოდგა ვ. დარჩიაშვილი, მეორე—გით მარინაშვილი. ჰფიქრობენ, რომ ეს მკვლელობა ჩაიდინა ვაჩნაძისა და აბხაზის ტყის ყარაულმა მახმადამ.

✦ 24 სექტემბერს „ვეტცელის“ სასტუმროში მცხოვრებს, ტუკკუმის მოქალაქეს ედუარდ ტრამდახს, პროფესიით მთის-მადნის მრეწველს, გაუცვნია ერთი ქალი და იმის ბინაზე წასულა. შინ დაბრუნებისას ტრამდახს შეუნიშნავს, რომ ვიღაცას ჯიბიდან 600 მანეთი ამოუცლია. როცა უცნობ ქალს, რომელიც გვარად დინა ლიგუმი გამოდგა შეეკითხნენ, მან განაცხადა: მართალია, მე ეგ კაცი გავიცანი და ჩემს ბინაზე მოვიწვიე, მაგრამ ფულის დაკარგვისა არა ვიცირაო. გაუჩხრეკიათ ამ უცნაურ ქალის ქმარი და ჯიბეში უნახავთ მოპარული ფული.

მოწერილი ამბები

ელენენდორფი (განჯის გუბერნ.). ელენენდორფი ძევს განჯიდან 6 ვერსზე. ეს უძველესი გერმანელთა კოლონიაა. როდესაც 1804 წ. თ-დმა ციციანოვმა განჯა აიღო და რუსის დედოფლის ელისავეტის სახსოვრად განჯას ელისავეტპოლი დაარქვა, მაშინ დაიბადა აზრი, რომ განჯის სახანოში დაესახლებინათ გერმანელები, რათა მათგან მკვიდრ მცხოვრებლებს ესწავლათ გაუმჯობესებულის წესით მიწის დამუშავება. გერმანელების იმპერატორის თანხმობით რუსეთის იმპერ. ალექსანდრე პირველმა გერმანიაში გამოაცხადა, ვისაც სურს რუსეთში გადმოსახლება, მას მიეცემა საგზაო ფული, ხარჯი, მიწა, სხვა და სხვა შემწეობა და ორმოცდაათი წლის განმავლობაში ხარჯი არ გამოერთმევაო. პირობები ძალიან შედავათიანი იყო. გერმანიიდან ბევრი გერმანელი წამოვიდა. გზას თითქმის ერთი წელიწადი მოუნდნენ და 1816 წ. აღმოცენდა კოლონია ელენენდორფი.

გერმანელებს მიეზომათ საკმაო მიწა, ტყე, სახნავ-სათესი, საძოვარი და სხვა. რასაკვირველია, მკვიდრ მცხოვრებლებს გერმანელების ჩასახლება არ ესიამოვნათ და მალე მთელი კოლონია გადაჰწვეს, მაგრამ მთავრობამ მათ ზარალი აუნაზღაურა და გერმანელები სულ მეორედ შეუდგნენ აშენებას. ამ უხვ დახმარების წყალობით და აგრეთვე თავიანთ მხნეობით, ბუნების პირობებთან შეფარდებით, მუყაითობით, ერთსულოვნობით, სამაგალითოდ ააყვავეს მათ მეურნეობა და იქ, სადაც წინად თათრის ბეჩავი მწყემსი აძოვებდა ცხვარს და რამდენიმე კომლი ძლივსა სცხოვრობდა, დღეს ნამდვილი წალკოტია და რამდენიმე ათასი გერმანელი იკვებება. გერმანელები უმთავრესად მევენახეობას მისდევენ და მშვენივრადაც უვლიან ვენახებს. გერმანელების აზრით, ვენახი უეჭველად უნდა ირწყვებოდეს და რადგან მდინარე განჯა ძალიან ღრმად მოდის, ამისთვის გერმანელებმა თითქმის 5-6 ვერსიდან გამოიყვანეს ამ მდინარიდან სარწყავი არხი. ძალიან ძვირად დაუჯდათ ამ არხის გამოყვანა, რადგან მას ერთ ადგილას კლდეში თითქმის ერთი ვერსის სიგრძე ხვრელი დასჭირდა, მაგრამ გერმანელები ამას არ შეუშინდნენ. დასალევად გერმანელები წინად მდინარე განჯასა ხმარობდნენ, მაგრამ ეს წყალი ძალიან ცუდი თვისებისა იყო—თითქმის მთელი კოლონია ავადმყოფობდა. ეხლა იძახიან, რომ ამ ოცი, ოცდა ათი წლის წინად კოლონიაში შუახნის ან მოხუც კაცს ვერ შეხვდებოდითო. ოცდა ათი, ოცდა თხუთმეტისანი იხოცებოდნენო, ისე ცუდადა მოქმედობდა განჯის წყალი. რა უნდა ექნათ გერმანელებს? ცხრა ვერსზე კოლონიიდან სარიალის მთაზე კი მშვენიერი ანკარა წყაროები გადმოჩუხჩუხებდა. გერმანელებმა აიღეს და სარიალის მთიდან გამოიყვანეს თავიანთ სოფელში წყალი. თუმცა ეს წყლის-საყვანი 80 ათასი მანეთი დაუჯდათ და კოლონიას დიდი ვალი დაედო, მაგრამ გერმანელებს ავადმყოფობამაც თავი დაანება და ამ ვალსაც ნელ-ნელა იხდიან. ყველა კოლონისტების ეზოში მიდის გაყვანილი და ექვს ვედრა წყალში იხდიან ერთ კაპეიკს.

გერმანელებმა მდინარე განჯის ძალა სხვანაირად გამოიყენეს. მათ იმას აამუშავებინეს ელექტრონის მანქანები და ბევრი კოლონისტ[illegible] [illegible] თაა განათებული. ამიტომ, ელექტრონი ნავთზედ [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ გერმანელები მშვენივრადა სცხოვრებენ. მათში ღარიბს თითქმის ვერ შეჰხვდები. და ან რადა უნდა იყოს მათში ღარიბი, როცა მიწა ყველა კოლონისტს ბლომადა აქვს და უმიწოდ არც ერთიც არ არის. მიწის გაყიდვა ან დაგირავება არავის არ შეუძლიან. სახნავ-სათესს დროგამოშვებით კენჭის ყრით იყოფენ ხოლმე. სავენახე ადგილებიც კენჭის ყრით აქვთ დაყოფილი. ყველამ თავისი ვენახი თითონ გააშენა, და მათი სამუდამო კუთვნილება გახდა. ყოველ ოჯახს განსაზღვრულ ზომის ვენახი აქვს. მამის შემდეგ ვენახი ერთ შვილზე გადადის, სხვა ძმებს იგი ფულით უხდის წილს.

გერმანელებმა ბევრი ადგილი შეისყიდეს თათრების ბეგებისაგან და ვენახები გააშენეს. საშუალო რიცხვით ეს ერთი კოლონია იძლევა ბაზარზე თითქმის 800 ათას ვედრო ღვინოს. ზედმეტმა კოლონისტებმა დაარსეს სხვა კოლონიები, მაგ. ანნენფელდი, ქესტაფა და სხვა, სადაც მათ საზოგადოთ შეისყიდეს მიწები.

ამ ბოლო დროს კოლონისტებში დაიბადა აზრი კახეთში გადასახლებისა და იქ კოლონიის დაარსებისა. საქმე შემდეგშია: ს. ყვარელში გენერალ კრუზენშტეინის ქვრივს ჰქონია აუარებელი მიწა და ვენახი. კრუზენშტეინის ქვრივმა წინადადება მისცა კოლონისტებს, იყიდეთ ჩემი მიწები, 150 ათას მანეთად დაგითმობთო, ბანკის ვალს (სათავად-აზნაურო ბანკშია დაგირავებული 70 ათას მანეთად) თქვენზე გადაიტანთ, მე ამ თავად 25 ათას მანეთს მომცემთ, დანარჩენს კი ხუთ წელიწადში გადიხდითო. თუ ჩემი მიწები არ გეყოფათ, თ-დ ჭავჭავაძეც 500 დესეტინა მიწას მოგყიდითო. არ ვიცი, კოლონისტები იყიდიან ამ მიწებს თუ არა, და თუ იყიდეს და იქ გადასახლდნენ იმედი მაქვს, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ეცდება რაც შეიძლება მალე მოიშოროს მიწები თავიდან, ჩაუგდოს გერმანელებს, რომ ამ ათი წლის შემდეგ კავკასიას კიდევ მიემატოს რამდენიმე მილიონერი ფორერი, ჰუმმელი და სხვა.

იგდეს ხელთ სვავი, ყორანი,
მაშინვე მოჰკლვენ, არ ჰზოგვენ,
რისათვის ხართო მცონარნი!
უწინ რა ჰირდა: ჩავიდი
ბარად, ვძღებოდი ლეშითა
მადლიანადა, რომ ძლივს-ღა
შინ ვბრუნდებოდი ხვნეშითა.
ეხლა კი ასეთს ხმელს ძვალებს
დავეძებ ნახრავ-ნუხრავსა...
ფუჰ, ამისთანა სიცოცხლეს
და ამისთანა სუფრასა!

ყვავი

მაშ ხომ წამოხვალ,
უარი ან კი რა საკადრისია?
ეს საქმე ჩვენი საქმეცა,
ვინც მცხოვრებნი ვართ მთისია.

სვავი

წამოხვალ, უარს ვით ვეტყვი,
თუმც ვერ დაუწერ მამებსა,
ვურჩევ თუ დაიჯერებენ,
არ აჰყვნენ წამწყმედ აზრებსა.
ერთობით, ვიცი კარგადა,
არა გვერგება სვავებსა.

ყვავი

წავიდეთ, ნუღარ ვგვიანობთ,
დრო აღარ არი ცდისია,
მიუსწროთ ვიდრე დღე არი,
სხივები ბრწყინავს მზისია,
არ შაგეშალოს, დასწერო
რასაც გეტყვიან,—ისია.
ახ, ნეტავ მე კი მესმოდეს
ცოტა რამ ანაბანისა!..

ადგა ყვავი და გაფრინდა,
უკან გაუდგა სვავია,
მისდევდა მხრების ფლაშუნით
მცონარა, მუცელ-ავია.
ცოტა ხანს შემდეგ მთათ შუა
მოსჩანს იმისი თავია,
ერთს დიდრონს არყზე დამჯდარა
თავ-მოწონებით, ბრძნულადა.
მთებმა მიიღეს თავაზით,
მყინვარი ჰკითხავს ძმურადა.

მყინვარი

ჩვენ გავიგონეთ, რომ თურმე
განათლებული ჰყოფილხარ.
თავად ისწავლე, თუ მცოდნე
დედის მუცლიდან ჰშობილხარ?
კარგია, ღვთისა წინაშე,
რომ ღმერთმა მთათა შორისა
დაგბადა ეგრე ჰკვიანი
და ჩვენაც შენის ყოლისა
მოხარული ვართ ფრიადა,
თან თუმც კი გვიკვირს დიდადა,
საიდან მოხდა რომ წიგნი
შეგისწავლია წმინდადა?

სვავი

წმინდად კი არა, ცოტა რამ
ვიცი და ისიც ხუცური
დავჯღაბნი ვაი-ნაჩრობით,
ვიცი ლოცვების ტურტური.

იალბუზი

უყურეთ ამას! გვითხარი,
აბა რა იცი ლოცვები?
შენ იქნებ წმინდანიც იყო
და არა გქონდეს ცოდვები?!

სვავი

მამაო ჩვენო, უფალო.
მრწამსი დავითის ფსალმაუნით
მიწყალე ღმერთოთ იწყება,
ამიერიდან და მუნით.
ალილუია სამჯერა,
ქამნი არ ვიცი მე სრული,
ტიბიკონს ეხლა შეუდგ
ამისთვის დამდეთ თუნდ წუნი.

მთებს პირზე მოსდით ღიმილი
გაუცინართა სიყრმითა.
ეცინებოდათ ეხლა-კი
ნახულის სვავის სიბრძნითა.

იალბუზი

ძალიან ბევრი გცოდნია,
თითქმის ივარგებ ხუცადა.
დღემდი სად იმალებოდი,
ეხლა გამოსჩნდი უცბადა,
რომ გვითხრა არა წახდება,
გასაკვირველი ამ სოფლად,
არ ვიცით ბევრი რამ ხდება?

სვავი

მე რომელ კლდეშიაც ვცხოვრობ,
იქ ერთხელ მწირი ცხოვრობდა;
დაბლა ის იყო, მაღლა მე,
ჩემიდან არა შორობდა.
მესმოდა ყოველი სიტყვა
მწირისგან თქმული ეხშია,
ზევიდან უკირკიტებდი,
როს წიგნი ეპყრა ხელშია.
მოკვდა და იქვე დაეფლო
გრკალად მოხრილი წელშია,
მე დამრჩა, როგორც მემკვიდრეს,
მთელი იმისი ქონება:
წიგნები, სხვა არაფერი,
მით გავიხსენი გონება
ცოტად, განა თუ ბევრადა.
არა მჭირდება ღონება
წერილის მისაწერადა,
თუ სადიდებლად უფლისა
ან თუ თქმა „მამაო ჩვენოს“
საკურთხებლად სუფრისა.

იალბუზი

ჩვენაც ეგ გვინდა სწორედა,
რომ მიგვიწერო წერილი,
ბარიდან გამოგზავნილი
აზრია შემოჩენილი.
ერთობის თაობაზედა
წერილი გრძნობით ნაბეჭი.

ეს სთქვა და თან მიაწვადა
სვავსა ჯიხვისა მან ბეჭი.

სვავი

ერთობაზედა? თუნდ მომკლათ
ამკუწოთ ნაჭერ-ნაჭრადა.
არ დავსვამ არც ერთ ასოსა
მე თავის გასამწარადა,
მაგაზე ცუდი ამ ქვეყნად
სხვა არა გამოგონილა,
სხვით არც შემცდარა ქვეყანა
როგორც ერთობით ცდომილა!
ბრიყვად ვრაცხ, ვინაც ეგ აზრი
მიიღო, გაიძმობილა.
რა თქვენი საკადრისია
ერთობის აინ-თინი,
თქვენ შეინახეთ ნადირთ ხრო
და ფრინველების ბონინი,
ამ დროს გაისმა კლდიდანა
წყრომა და ჯაჭვის ჩხარანი,
გმირის ხმა ისმის მედგარი,
ზანზარებს კლდისა დარანი.
შიგ ორი თვალი ლაპლაპებს,
როგორც ორთქლმავლის ფარანი

ამირანი

(ისმის მისი ხმა გამოქვაბულიდან)

მთებო მაკვირვებს მე თქვენი
ქცევა, სვავისთვის ფერობა,
ნუ თუ სხვა სახსარს ვერ ჰპოვებთ,
თავს გაუწიოთ მცველობა?
დაკარგეთ მანდით ეგ უშნო
წაიღოს თავის ხელობა.
ცოდვა არ არი ბრჯღალითა
მაგანა ჯიჯგნოს ერთობა!..

მყინვარი

მართლაც, სასვაოდ რადა ვხდით
ჩვენს აზრს და ჩვენსა გრძნობასა?
სვავების შემაცქირალი
მთა როგორ იზამს მთობასა?
ჩვენ საკუთარი შიკრიკი გვყავს,
ის შაიძლებს თხრობასა,
მას დავაბაროთ ერთს-წამში
ბარს ის მოუტანს ცნობასა,—
ყველაფერს დაწვრილებითა
უმწიკვლო ენა-პირითა,
იმ გვარად, თითქოს მიუგდოთ
აქედან წყალი მილითა.

იალბუზი

ეგ რომელ შიკრიკზე ამბობ,
მე როდი მესმის სწორედა?

მყინვარი

ჩვენს ასულს ნიავზე ვამბობ,
რომ მოსისინებს დონედა:
მოზრდილი მხრები შეისხას
მაგრა და, არა ფონედა,—
გადიქცეს მხვივან ქარადა,
იქროლოს ყოველ მხარესა;
უამბოს დანაბარები
მტირალს და მოხარხარესა.
ვგონებ რომ საქმეს უკეთესს
ვერ ვიზამთ მოსაგვარებსა?
სვავი გავგზავნოთ, წავიდეს,
იფრინოს მთების არესა,
ესტუმრის წმინდა სენაკსა,
ულოცოს თავის მთვარესა

მთები

(ერთად)

ეგ რა კარგი სთქვი! უკეთესს
ჩვენ ვის რას დავაბარებთა;
ეხლავ მოუხმოთ, სათქმელსა
რასაც-კი დავავალებთა
ვუამბოთ ჰაეროვანსა
ჩვენს ასულს, ტანად საჩოსა,
ეს იალბუზმა თვით იცის
რაც უნდა დააბაროსა.
სვავო, შენ გასწი, იფრინე,
მიჰხედე თავის ალოსა.

სვავიც ადგა და გაფრინდა,
გამოეთხოვა კრებასა,
დახანხალებდა ცაზედა
გულ-დინჯად, ნება-ნებასა;
არც წყევლას ამბობს მთებისას
არც თუ იტყოდა ქებასა;
იგი ფიქრობდა, თუ სვავებს
რითმე მისცემდა შვებასა.
მთებმა კი ხმითა ტკბილითა
მოუხმეს ნიავს თვისთანა.
ათრთოლდა მთელი ჰაერი
ხმელეთითა და ციდანა.
პირველად გამოიქცა
სპეროზიაის კლდიდანა;
შემდეგ დაიწყო მოდენა,
წყალივით, ყოველ მხრიდანა.
ადის და დადის მთათ მკერდი.
წითლად, ყვითლად და მწვანედა,
ჰსუნთქავენ მთები... არყები
ილმიჭებიან მწარედა.
ბალახ-ბულახი, ყვავილნი,
რაც მთებს აკრია გარეთა,
ზოგი ისწორებს კაბასა,
ზოგი ივარცხნის კავებსა,
სხვანი კი იზმორებიან,
მაღლა ჰყაყავენ თავებსა.
იმის ნიავის ფეხის ხმა,
როგორც ქედნის ღუღუნი,
იმასთან შენაწონები
ყვავილ-ბალახთა დუდუნი.
გაცოცხლდა მთელი ბუნება,—
მკვდარმა დაიწყო ჩუჩუნი.

იალბუზი (ნიავს)

მოხვედი, შვილო?.. იცოცხლე!..
ყური დაუგდე მამასა.—
ნიავიც შედგა, გასწია.
მაღლა აწეულს კაბასა,
ყური მიაპყრო მშობელსა
რას უამბობდა ამბავსა.
და იალბუზიც დინჯადა
ასულს მოუყვა ამასა:—
შენ უნდა ბარად ჩახვიდე
და მოვლო ყოველ კიდესა,
უთხრა მთათ დანაბარები,
ძველს გზას არ გადავიდესა.
კაცების ერთობაზედა
თავის რჯულს არა სცვლიდესა,
წესს-კანონს უფლის დადებულს
ძალიან მტკიცედ სცვიდესა.
ავი და კარგი იგუოს
თუნდ ჩირად არა ღირდესა;
მოთმენა ჰქონდეს იმისი,
რაც უნდა პირი სჭირდესა.
ჩვენ, უენ-პირო ბუნება,
სხვა ვართ, კაცთაგან ვსხვავდებით:
მეტი მადლიც გვაქვს, მოთმენაც,
ძალიან არა ვცხარდებით,
როცა რამ უსამართლობა
ხდება შემთხვევით, ან ნებით
და კაცთაც ჩვენის მადლითა
ყველაფრად გამოვადგებით.
კაცთ ვერ დაუგმობთ დრტვინვასა,
რადგან ცხოვრება კაცების
გამხდარა მხოლოდ სადაველოდ
ძალ-მომრეობის, ტაცების.
თუ თავად არა უშველეს,
კიცთა სიცოცხლე გაცვდების
ჩვენი ბუნება სხვა არი,
მას კაცებისა ვერ სწვდების.
ჩვენში ზომა აქვს უცვლელი
გაჩენასა და სიკვდილსა,
ფრინველისგან ფრინვლის მოკვლასა
მით არ ვეძახით სირცხვილსა.
უზომოდ ავის ჩადენით
წინ ვერვინ იწყებს სირბილსა.
უხამსობამდის არ მიდის
მთის მტაცებელთა ზნეობა

განჯის გუბერნიაში თათრების ბეგები იშორებენ მიწებს და საწყალ მწყემსებს უმიწა-წყლოდ სტოვებენ, აქ კიდევ ჩვენი ბრწყინვალე წოდება სცდილობს ჩვენი მიწა-წყლის დანიავებას. ნეტა ვიცოდეთ, ის მიწა, რომელსაც ესე ადვილად ჰყიდის თავად-აზნაურობა, ვისის სისხლით არის განაყოფიერებული?

Вѣркинъ.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. დიდი ხანია ქართული საზოგადოება ისეთის მოუთმენლობით არ ელოდა ქართულს სეზონის გახსნას, როგორც წრეულს. ასეთი ინტერესი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საქმის სათავეში ჩადგა ახლად დაარსებული დრამატიული საზოგადოება, რომლის გამგეობამაც, გარდა იმისა, რომ ქალაქის თეატრი იჯარით აიღო წრეულს პირველათ მოჰკიდა ხელი ქართულ წარმოდგენების ხელმძღვანელობას. ეს საქმე, როგორც მოგეხსენებათ, მეტად რთულია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის მხნეობა, რომელსაც გამგეობა იჩენს, ფუჭად არ ჩაივლის და სეზონი ნაყოფიერი იქნება შინაარსითა და მატერიალურად. „დროება“-ში უკვე იყო აღნიშნული პირველ წარმოდგენის ავ-კარგი. პიესამ თითქმის უნაკლულოდ ჩაიარა, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში იმას არ მივიღებთ, რაც სცენის სიღარიბემ და მოუწყობლობამ დააკლო საჭირო ილუზიას.

ყოველი ჩვენი საქმის შემაფერხებელი ჩვენივე უკიდურესი სიღარიბეა. ავიღოთ, თუ გნებავთ, აქაური თეატრი: დასი დრ. საზოგადოებამ სრული მოიწვია და თითქო ფიქრი იმის შესახებ, რომ დამაბრკოლებელი მიზეზი აღარაფერი იქნებაო მეტია, მაგრამ ნამდვილად-კი საქმე ასე არ არის. აბა შებძანდით თეატრის სცენაზე და ნახეთ, რა გააჩნია წარმოდგენების მოსაწყობად. დეკორაციები არსად არის, ერთს ან ორ პავილიონს თუ ნახავთ, დიდი საქმეა; სცენის მოსაწყობად კარგი ბიჭობაა საჭირო, რომ ცალ ნახევარი სავარძელი მოსძებნოთ და ჩვენ-კი ავიღებთ კალამს ხელში და ვილანძღებით—სცენა არ გივარგათ, კარგად არ გაქვთ მოწყობილი და სხვა ამისთანას. რა ჰქნას, ბატონო, სცენის გამგემ, როცა ყველაფერი ხელს უცარავს. წრეულს, მაგალითად, დრამ. საზ. გამგეობას ცოტა რამ გაუკეთებია სცენისა და გარდერობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ეს „ცოტა“ პირსაც—კი ვერ მოსწმენდს იმის მოუწყობლობას. თვით თეატრში შეუტანია გამგეობას უკეთესობა: მარტო ისიცა კმარა აღსანიშნავად, რომ ანტრაქტების დროს დასასვენებლად საზოგადოებისათვის გაუმართავს ფოიე, თორემ აქამდის ან სკამს უნდა მინებებოდი ან და დერეფანში უნდა გენტვრია გვერდები.

ყოველივე ეს კარგია და მადლობის ღირსიც არის დრ. საზ. გამგეობა, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ შესძლებს თავის ღარიბ სალაროთი შეავსოს თვალ-საჩინო ნაკლი თეატრისა, თუ პატრონი თეატრისა, ქალაქის თვითმმართველობა, არ დაეხმარება ამ საქმეში. თუ სხვას ვერაფერს დაეხმარება, ის მაინც უნდა ჰქნას, რომ ერთი წლის საიჯარო ფული თვით თეატრის გაუმჯობესობას დაახმაროს და მერე თუ არ დაუშლია, ახდევინოს დრამ. საზოგადოებას იჯარის ფული.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, სეზონის პირველ წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო, ტევა არსად იყო. ამან, რასაკვირველია, მცირე უწესოება გამოიწვია დარბაზში, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თეატრის ადმინისტრაცია ამ ნაკლს, ისევე როგორც ფარდის ახდას, თავიდან აიცილებს.

აღსანიშნავია ეგრეთვე ის გარემოება, რომ ჩვეულებრივ წარმოდგენების ფასი საგრძნობლად დაუკლეს და, გარდა ამისა, შაბათობით სახალხოდ განმეორდება ხოლმე წინა კვირას გამართული წარმოდგენები მეტად დაკლებულის ფასით. ასეთს ინიციატივას დიდი ხანია ელოდა ჩვენი საზოგადოება, რომელსაც ყოველთვის უჭირდა მანეთობის გაღება თეატრში წასასვლელად და ამ მხრით დრ. საზ. გამგეობამ დააკმაყოფილა მომწიფებული საჭიროება საზოგადოებისა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს წარმოდგენები დიდ სამსახურს გაუწევენ შეუძლებელ ხალხს და მასთან არც დრამატ. საზოგადოება წააგებს რასმეს.

შორეულ აღმოსავლეთში

უცხოელების აზრი ხარბინის ინციდენტზე.

ინგლისურ პრესას ჯერ თავისი აზრი არ გამოუთქვამს ხარბინის ინციდენტზე; იგი ჯერ უფრო სწორე ცნობებს ელის.

გერმანიის ელჩს ლონდონში უთქვამს „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისათვის: „ეგ წმინდა იურიდიული საქმეა. რუსეთის სამართალს მანჯურიაში ყველა სახელმწიფო როდი აღიარებს. გერმანია და შეერთებული შტატები იმ აზრისანი არიან, რომ იქ მარტო ჩინეთის სამართალს აქვს ძალაო. მგონია, რომ ეს ინციდენტი გააზვიადეს. იმედი მაქვს, რომ საქმე მალე გათავდება მორიგებით და რუსეთ-გერმანიის მეგობრობა არ დაირღვევა“.

ჩინეთის საელჩოში უთქვამთ: ჯერ მაგ ინციდენტზე არავითარი ცნობა არ მიგვიღია და ამიტომ არაფრის თქმა არ შემიძლიანო.

იაპონიის საელჩოში უთქვამთ: ეგ წმინდა იურიდიული საქმეა. თუ ხარბინში საერთაშორისო სამართალს აღიარებენ, მაშინ გერმანიის კონსული მართალი გამოდგება და თუ რუსის სამართალს აღიარებენ—მაშინ კონსული გამტყუნდება. მაინც და მაინც ეს ინციდენტი საშიში არაა.

რეფორმები ჩინეთში.

პეკინიდან ატყობინებენ ბელგიურ გაზეთებს, რომ იქნება ჩინეთის მთავრობამ დააშუროს კონსტიტუციონურ რეფორმების შემოღებაო. უმაღლეს საბჭოს უკანასკნელ სხდომის დროს რეგენტს ეთქვა: ჩინეთის სახელის აღდგენა მხოლოდ შინაგან რეფორმებით შეიძლებაო, უცხოელები მხოლოდ მაშინ მოგვეპყრობიან პატივისცემითაო. უმაღლესმა საბჭომ მინისტრები მიიწვია თავის სხდომაზე და შეერთებულმა კრებამ დაადგინა, ჩინეთის მომავალ კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლები მოკლედ მაინც გავაცნათ ხალხსაო. მოელიან, რომ საბჭო მალე გამოაცხადებს კონსტიტუციის პროექტს და მთელს იმპერიაში გაავრცელებს, რომ ხალხმა გაიცნოს.

და მიტომ არავინ სწყრება
არვის აკლდება მხნეობა.
შევსება მოსდევს დანაკლისს,
არსად ატყვია მკვლეობა,
სავსეა ფრინველ-ნადირით
მთები და იმათ ხეობა,
ჩვენის ცხოვრების სასწორისა
უღელი მუდამ სწორია,
მით კაცთა ცხოვრებაზედა
ჩვენიდან ძლიერ შორია.
ამიტომ ამას გაბარებ:
რომ მოვლო მინდორ-გორები,
ვიდრე ბარს არ ჩააგონო
კარგად, ნუ განეშორები.
თან ეს უთხარი ნაყოფსა
ტყე, წყალნი, ჭალა-ველები
უხვად აძლევდენ კაცთ სარჩოს
და იყვნენ მისი მცველები.
ტანი რად გვინდა მარტოკა,
თუ არ გვასხია ხელები?!
ბუნებას უფლის ნაკურთხსა
რას უზამს ტურა-მელები?

რა ეს სთქვა, მთებსაც შაესმათ
რომ იყვნენ ღამის მთევლები
დალაგებულთა ჯარადა,
მყის გაისწორეს წელები,—
ვაშა დასძახეს ერთხმადა
მაღლა აძაბეს ყელები.
ეხვევათ უბე-კალთებზე
წყვდიადის სხივის გველები.
დაჰბრუნავს ბარსა ნიავი
მთებიდან დანატევები.

ამირანი (ისმის მისი ხმა კლდიდან)

კარგნი ხართ, მთებო, ღილაც
სიტყვა სთქვით დასაჯერები,
მაგრამ თქვენც ადამიანსა
ბევრჯელ დაუზრეთ ქერები.
გეწყინოთ, ვიტყვი მართალსა,
ვერავის მოვეფერები:
რამდენჯერ ადევნებული
გაჰგზავნეთ აქით ზვავები;
რამდენი კაცი დაარჩო,
რიყედ აქცია ველები
და გააუქმა სიწყალთა
მშრომელთა კაცთა ცელები.
ბევრს დაუქცია სახლ-კარი,
შლამით აუვსო ქვევრები,
თუ სადმე სამართალია
თქვენცა ხართ დასარბევები.
ვაი რომ შებორკილი ვარ,
მტარვალთა ვეღარ შევები,
თავის ნებაზე მაშინა
ვერ გატარებდენთ დევები!

—

ხმა როდი გასცეს ჯიუტსა
მთებმა შეუდრკელს ბიძასა.
იცნობენ იმის ხასიათს,
მიჰმართეს თავის ბინასა.
იდგნენ თავ-თავის ადგილას,
რომ შეეხედნა დილასა—
ისევ იმ წესით, იერით
როგორაც ამას წინადა:
წარბ-შეუხრელად, შუბლ-შეკვრით
გაუცინარად, ცივადა.
მხოლოდ იმ ღამეს, როდესაც
მთებმა გაგზავნეს შიკრიკი
ბარად... ილბუზს ეწვივნენ,
მოძებნეს ძველი ბილიკი,
ჩვეულებრ წმინდა სულები,
ქვეყნის საშველად, სამწეოდ
უდროვოდ გარდასრულები.
შემოკრბენ მთისა თხემზედა
ძაძითა შემოსულები;
დამწკრივდენ გულ-ხელ დაკრეფით
დაიწყეს ტკბილი გალობა:
„უფალო, დამბადებელო,
მთა-ბარს მოჰფინე წყალობა,
აცხოვრე ბედნიერადა
და ააცალე წვალება.
და მოუხდინე კეთილად
ცუდისა კარგზედ ცვალება.
ნუგეშ-მცემლად ეყავი
დაჩაგრულებსა ყველათა.
თავისუფლების გვირგვინი
დაადგი კარგის მცველადა.
დათრგუნე უსამართლობა
გამეფებული ქვეყნადა.“

ამირანი (ხმა კლდიდან)

ყველამ თავის თავს უშველოს,
ყოფნამ სხვის შველის ამარა
მე არა მარგო ნაღველმა,
მხოლოდ გულ-მკერდი დაღარა.
ძალის შეძენა გვიშველის
მეც და სხვას, ვინაც ტანჯულობ
მართლა, თუ უსამართლოდა
სხვა არა გამონახულა
მის გარდა საშუალება,
როგორც მიცნია სოფელი
ხომ მხედავთ, რა ყოფაში ვარ
ქვეყნის კეთილის მყოფელი;
ხალხისთვის თავ-დადებული
როგორც შვილისთვის მშობელი?!

(სულებს)

ახ, თქვე საწყალნო, საწყლებო,
თქვენ უფრო მტანჯავთ გოდებით,
მომკალით ბარემ ერთხელა,
მოდით, ჩამქოლეთ ლოდებით!
რად მინდა უქმი სიცოცხლე
მოუხმარები ძალ-ღონე?
მიშველეთ, აბა ვინა ხართ
ჩემის ვედრების გამგონე?!
თქვენც, ქვეყნის ბედიც, მტრებიცა
ყველა ჩემი ხართ დამღონე“!..

—

ცისკრის ხანია, ბარიდან
იწყეს ნისლებმა მოდენა.
გროვა და გროვა, შავ-ფერი
ცა და ხმელეთის ოდენა
მოგორავენ, როგორაც მთები
ერთი მეორის გვერდზედა,
თან ქინქლი მოსდევთ და სიო,
დალაგდენ მთების მკერდზედა,
იმასა ჰგავანდა თითქოსა
მთები სხდებოდა მთებზედა.
თან მოაქვსთ ოხვრა და კვნესა,
ხალხისა ქვითინ-ხვივილი,
თან წამოეღოთ მთებისთვის
ხალხისა გულის ტკივილი.
გადაებურა, ვით ძაძა,
მთებს ჯანღი პირით-პირამდე:
არც ავს ამბობენ, არც კარგსა,
სულ სდუმან კვირით-კვირამდე.
ბარსა უმალვენ სახესა
თხემებით დაბლა ძირამდე.
უნდა ვუცადოთ ამირანს,
გამოუშვებენ მანამდე.
მაგრამ სადა და როდისა,
მისვლა გაჭირდა შინამდე?!

ვაჟა-ფშაველა.

უცხოეთი

ბრძოლა ბიუჯეტისათვის ინგლისში.

თუმცა ორივე მხარე—კონსერვატორები და ლიბერალები უკვე ემზადებიან არჩევნებისათვის, რომელიც მათის აზრით, იანვარში უნდა მოხდეს, და თუმცა საარჩევნო კომპანია უკვე დაიწყო ყველგან, ბევრს იმედი აქვს მაინც, რომ ბოლოს და ბოლოს ლორდები დასთმობენ და პალატის დათხოვნამდე საქმე არ მივაო. ზოგიერთ კონსერვატორსაც აუცილებლად მიაჩნია ბიუჯეტის მიღება. მაგალითად, ლორდ ბერესფორდი და კონსერვატიულ სამინისტროში ფინანსთა მინისტრად ნამყოფი ლორდ ალდვინი (ჰიქსბიჩი) პირდაპირ მოითხოვენ ლორდებისაგან ბიუჯეტის დამტკიცებას. გავლენიანმა კონსერვატიულმა გაზეთმა „გლაზგოვ ჰერალდმა“ რამდენიმე წერილი უძღვნა ბიუჯეტს და ბეჯითად ურჩია ლორდებს მისი მიღება. ამ წერილებმა საყოველთაო ყურადღება მიიქციეს, რადგან გაზ. „გლაზგოვ ჰერალდ“-ი ძლიერ დაახლოვებულია ლორდ როზბერთან.

ინგლისის მეფე ედუარდიც დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს ბიუჯეტის საქმეს. მან თავისთან დაიბარა ლორდ როზბერი და კონსერვატიულ ლორდების მეთაური ლანსდოუნი და ბიუჯეტის მიღება ურჩია მათ. როგორც გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, მეფეს პირველი მინისტრი ასკვიტიც დაუბარებია თავისთან. რით გათავდება მეფის მოლაპარაკება და რამდენად შეისმენენ მის რჩევას ორივე მხარე, ამას მალე გავიგებთ, ხოლო ეხლავე შეგვიძლიან იმისი თქმა, რომ მის რჩევას მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არ ექნება ბიუჯეტის ბედისთვის.

ფრანგ კლერიკალების იერიში საერო სკოლებზე.

სწორედ სწავლის დაწყების დროს საფრანგეთის კარდინალებმა გამოსცეს ეპისტოლე მართლ-მორწმუნეთა მიმართ, რომელშიაც ნამდვილი ომს უცხადებენ სახელმწიფო სკოლებს. ეპისტოლეს ავტორები არწმუნებენ მორწმუნე მშობლებს, თქვენს შვილებს რესპუბლიკელთა უსჯულო სკოლებში ნუღარ მისცემთ, გირჩევთ ქრისტიანულ, სამღვდელოთა მიერ დაარსებულ სკოლებში მიაბაროთ. ურჩ მშობლებს ეპისტოლე ემუქრება სასტიკ, ამ ქვეყნიურ და საიქიოს სასჯელებით. თუ მშობლები როგორმე იძულებულნი იქნებიან თავიანთი შვილები სახელმწიფო სკოლებში ატარონ, მაშინ მოვალენი არიან თვალი ადევნონ ამ სკოლების მასწავლებლების აზროვნებასა. რომ ეს თვალყურის დევნა და ზვერა უფრო კარგად მოეწყოს, ეპისტოლე ურჩევს მშობლებს განსაკუთრებულ „მშობელთა კომიტეტების“ დაარსებას. დასასრულ, ეპისტოლე ურჩევს მშობლებს, რომ მათ ყველა „საეჭვო“ სახელმძღვანელოს აკრძალვა მოითხოვონ, რადგან ეს სახელმძღვანელოები ცრუ აზრებს უნერგვენ ბავშვებს სარწმუნოებასა, ოჯახსა და სახელმწიფოზე.

კარდინალებისა და ეპისკოპოსების ასეთს მანიფესტაციას დიდ მნიშვნელობას აძლევს რესპუბლიკური პრესა, როგორც ეტყობა, კლერიკალებს უნდათ—სკოლაში აინაზღაურონ ის, რაც პოლიტიკაში დაკარგეს. „ომი“ უკვე დაიწყო: ზოგან უკვე დაუწყეს ზვერა მასწავლებლებს და რესპუბლიკელი პედაგოგები ხშირად ჩივიან გაზეთებში, რომ კლერიკალებმა სწორედ საქმე გაგვიჭირეს სკოლებშიო.

ბრიანის სამინისტრო მედგარ პასუხს გაცემს უპირებს კლერიკალებს, ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების მოთავეს (ბრიანი) რომელსაც თავის საკუთარ, პირად საქმედ მიაჩნია ამ რეფორმის დამთავრება. კლერიკალების მოუღლელი იერიში იქნება მოჰყვეს სრული განცალკევება... სკოლისა ეკლესიისგან.

სახალხო განათლების მინისტრმა დუმერგმა უკვე გამოსთქვა თავისი აზრი კლერიკალთა ეპისტოლეზე. მარსელში, „განათლების ლიგის“ მიერ გამართულ კონგრესზე დუმერგმა განაცხადა, რომ მთავრობა ყოველის ღონისძიებით დაიცავს საერო სკოლას, იგი არ მოითმენს, რომ საფრანგეთი გადაიქცეს პატარა უკულტურო სახელმწიფოდ და რომ მის ბედს თავის ნებაზე ატრიალებდნენ კლერიკალები.

რუსეთი

✦ **განცხადება.** „კასპ“ ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ: ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის და იტალიის მთავრობებს რუსეთის მთავრობისთვის შეუტყობინებიათ, ამის შემდეგ ჩვენ ნებას არავის მივცემთ, რომ ჩვენ ტერიტორიაზე საიდუმლო პოლიციები მოაწყონო.

✦ **1907 წლის არჩევნები.** პეტერბურგში უკვე დასრულდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნები. უნდა აერჩიათ სათათბიროდან გამორიცხულ კოლიუბაკინის მაგიერი დეპუტატი. დეპეშებმა უკვე გვამცნეს, კადეტებმა გაიმარჯვეს, კუტლერი აირჩიესო. კუტლერს მიუღია 12,461 ხმა. არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 24,442 კაცს, უნდა გამოცხადებულიყო 86,000 კაცი. კადეტების გარდა თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს სოც.-დემოკრატებმა (სოკოლოვი), ოქტომბრისტებმა (გრიბოედოვი), უპარტიო პროგრესისტებმა (კუზმინ-კარავაევი) და მემარჯვენეებმა (ბულაცელი). სოკოლოვმა მიიღო 4677, გრიბოედოვმა 3951, კუზმინ-კარავაევმა 1799, ბულაცელმა 1242 ხმა. ინტერეს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ ცნობები მესამე სახელმწიფო სათათბიროს პეტერბურგელ დეპუტატების პირველ არჩევნების შესახებ. პირველი არჩევნები მოხდა 1907 წლის 17 ოქტომბერს. კანდიდატები წამოაყენეს: კადეტებმა, სოციალ-დემოკრატებმა, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირმა“, ოქტომბრისტებმა და მემარცხენეების ბლოკმა (სახალხო სოციალისტი და შრომის ჯგუფი). ამ წელს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 44,377 კაცმა. ამ არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა კადეტების კანდიდატებმა მიიღო მილიუკოვმა 22,713. როდიჩევმა 20,432, კოლიუბაკინმა 19,350 ხმა. ამათ მოჰყვნენ ოქტომბრისტების კანდიდატები მილიუტინმა 91511. გრიბოედოვმა 8379 ხმა. მემარცხენეებმა ბლოკის კანდიდატებმა (ლუტუგინი და დემიანოვი) მიიღეს 5654 ხმა. სოციალ-დემოკრატების კანდიდატებმა მიიღეს: სოკოლოვმა 5654, ტეოდოროვიჩმა 3562 ხმა. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ კანდიდატებმა მიიღეს 8485 ხმა.

✦ **გარტინგი.** „რუსკ. ვედ.“ ბრიუსელიდან ატყობინებენ: ამ დღეებში იტალიიდან ჩამოვიდა გარტინგი. ბრიუსელშივე მოვიდნენ რუსეთის საიდუმლო პოლიციის პარიზელი აგენტები. აგენტებს და გარტინგს რაღაც საიდუმლო თათბირი ჰქონდათ.

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ.-ნავასარდიანისა
(დაარსებული 1880 წელს.)
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ჟ. მ. ჩიქოვანი: $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—$1\frac{1}{4}$ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
საღამოთი:
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—$6\frac{1}{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—180)

დაიბეჭდა ქართული პიესები: **„უშნო არშიყი“**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო“**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტორთან საკ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—24)

იაფად იყიდება სრული
თხზულება
ია ეკალაძისა
(ი. ცინცაძისა)
ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. მანეთიანი იყიდება 60 კაპ., ვინც 5 ც. მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა 50 კ. წიგნის დაბარება და ყიდვა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი, ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოება, ვ. ედილაშვილი. (ნ. 10—2)

იყიდება
ორი ნაჭერი მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან, ვერაზე, ვაკეში: 1 ზომით 360 ოთხ-კუთხი საჟ. 2. 436 ოთხ-კუთხი საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით 10 ს.-დე და საღამოთი 4—7 საათზე. (1—470-1)

ტ. მ. ფილოიანის
საკომერციო ცოდნის კურსებზე
(მიხეილის პროსპ. N 24/4).
ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეტიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შესასწავლად სიმწიფის ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს, კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**
(20—ხალ.—19)

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „Кайзеръ“

ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
მაღაზია ქ. ქუთაისში.
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბეს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
ადრესი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—ნ—74)

ტამბ. „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე,